პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | შაბათი, 27 ივნისი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მებრძოლი

№ 142 (840) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ორშაბათს, ა. წ. 29 ივნისს, საღამოს 6 საათზე ტფილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია ტფილისის აღმასკომ ს პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. კოჯორის რკინის გზის შესახებ·
2. ზემო—ავჭალის ჰიდრო—ელექტრონის სადგურის წინა ნაწილთან—ამხ. ვ. ი. ლენინის ძეგლის აგების შესახებ.
3· მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი

## ისწავლე კარგი სროლა!

ეს ამოცანა უნდა დაისახოს თითეულ წითელ არმიელმა და ცვალებადელმა. თანამედროვე სამხედრო ტეხნიკა მეომრისაგან მოითხოვს დიდ თაოსნობას, გაწვრთნას და სამხედრო საქმის კარგად შეთვისებას. პირველ ყოვლისა კი კარგი სროლის ცოდნას. ამიტომაც, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ წითელი არმიის ძლიერების ზრდაზე, მისი რიგების განმტკიცებაზე, მხედველობაში გვაქვს აგრეთვე სასროლო საქმის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებაც. ამ მხრივ ყოველმა ნაწილმა უნდა გამოიჩინოს რაც შეიძლება მეტი ენერგია და მუყაითობა.

კარგად სროლის აგრეთვე უნდა შეეჩვიოს ყოველი წითელი არმიელი და ცვალებადელი.

მაგრამ კარგი სროლის მიღწევა ადვილი საქმე არ არის. ის მოითხოვს დიდ დაკვირვებას, ნებისყოფას და გულმოდგინეობას მებრძოლისაგან. აგრეთვე საკმაოდ ხანგრძლივ დროსაც.

სამაგიეროთ კარგი მსროლელი იშვიათად მარცხდება ბრძოლაში. ის ბევრად მეტ ზიანს აყენებს მტერს, ვიდრე მტერს შეუძლია მიაყენოს მას.

რამდენათ ბევრია ნაწილში კარგი მსროლელი წითელ-არმიელები, იმდენათ დიდია ამ ნაწილის საბრძოლო უნარიც. ხოლო რამდენათ მრავლად იქნებიან წითელ-არმიაში ასეთი ნაწილები იმდენათ უფრო დაუძლეველი იქნება ის მტრის მიერ.

ერთი სიტყვით სასროლო საქმეს წითელ-მებრძოლებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ. განსაკუთრებით ეხლა ბანაკობისა და ტერშეკრების დროს.

ვინც ცუდათ ისვრის მან უნდა ეცადოს რათა მოკლე ხანში გამოასწოროს ეს ნაკლი.

განსაკუთრებით სასწავლო სროლის დროს. კარგ მსროლელ წითელ-არმიელებს კი მართებთ ყოველმხრივ დაეხმარონ თავის ჩამორჩენილ ამხანაგებს რჩევა-დარიგებით, მაგალითის მიცემით და სხვა.

აქვე განმეორებით უნდა მოვაგონოთ ჩვენ სამხკორებს, რომ ხშირად მოგვაწოდონ კორესპონდენციები სასროლო საქმის მდგომარეობის შესახებ ნაწილში.

განსაკუთრებით კი სამხკორებმა უნდა სწერონ სასროლო საქმეში დაწინაურებულ წითელ-არმიელებზე.

ჩვენ ერთხელ უკვე დავსწერეთ ამის შესახებ, მაგრამ სამხკორებს ყურიც არ გაუბერტყიათ. ჩვენი პირველი მოწოდება გამოუხმაურებელი დარჩა.

ვიმედოვნებთ რომ მისი განმეორებით ჩვენი სამხკორები ყურადღებით მოეპყრობიან სასროლო საქმის გაშუქებას და საჩქაროდ მოგვაწვდიან წერილებს ნაწილის წარმატებების შესახებ სასროლო საქმეში და აგრეთვე კარგი მსროლელების შესახებ.

ვინ იქნება პირველი!

## ინგლისის მუშების ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ.

ამ ბოლო ხანებში ინგლისის მუშათა მასების უკმაყოფილება საგრძნობლად გაიზარდა. ამის მიზეზია მძიმე ეკონომიური კრიზისი ინგლისში, რომელიც რაც დრო მიდის მით უფრო და უფრო ღრმავდება. ეს კრიზისი გამოწვეულია ბაზრის უქონლობის გამო. ინგლისში დღეს იმდენი ნაწარმოები დაგროვდა, რომ მის გასასაღებლად საჭიროა ფართე ბაზარი, რომელიც ინგლისს არ მოეპოვება. ამ ნიადაგზე ინგლისის კაპიტალისტები კეტავენ თავის ქარხნებს და ფაბრიკებს.

ისინი ლაპარაკობენ: „საქონელი ვერ გავასაღე, ბაზარი ვერ ვიშოვე, ამიტომაც მუშები უნდა დავითხოვო და შევაჩერო წარმოება სანამ ბაზარს არ ვიპოვი". და მართლადაც ამ უკანასკნელ ხანებში წარმოებათა დაკეტვა დიდათ გახშირდა იქ.

მარტო ქვანახშირის მრეწველობაში 70 მეტი წარმოებანი დაიხურა, რამაც ულუკმა-პუროდ დასტოვა 100.000 მეტი მუშა.

ამრიგად ჩვენ დღეს ინგლისში ვხედავთ ერთის მხრივ აუარება სიმდიდრის დაგროვებას, ხოლო მეორეს მხრივ მშრომელთა მასების გაღატაკების ზრდას·

ამას ნათლად ხედავს ინგლისის მუშაც. ის მოითხოვს მთავრობისაგან გადამჭრელ ზომების მიღებას უმუშევრობის მოსასპობად და საერთო უმუშევართა აუტანელი მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

ცხადია ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზია მაინცდამაინც არ სწუხს ამის შესახებ და არც არავითარ ზომებსაც არ ღებულობს უმუშევრობის წინააღმდეგ. ის გართულია თავისი დაპყრობითი იმპერიალისტური პოლიტიკით.

ამავე დროს მძიმე საარსებო პირობები აიძულებენ ინგლისის მუშებს უფრო მეტად აღამაღლონ თავისი საპროტესტო ხმა მთავრობის მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ინგლისის პროლეტარიატი დიდი უკმაყოფილოა იმ შეურიგებელი პოლიტიკით, რომელსაც ბოლდუინის მთავრობა აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ისინმა კარგად იციან ის, თუ როგორ შეამსუბუქებს მათ მძიმე მდგომარეობას ჩვენთან ნორმალური ეკონომიური კავშირის დამყარება.

ამიტომაც ინგლისის პროლეტარიატი გადაჭრით მოითხოვს კონსერვატიულ მთავრობისაგან, რათა ამ უკანასკნელმა შესცვალოს თავისი მტრული პოლიტიკა საბჭოთა კავშირისადმი მშვიდობიანურით და გააბას მასთან მჭიდრო ეკონომიური კავშირი. მუშები აგრეთვე დაჟინებით მოითხოვენ სესხის მიცემას საბჭოთა კავშირისათვის. ერთი სიტყვით ინგლისის მუშათა კლასმა ამ ბოლო ხანებში ძლიერ მკვახე ენაზე დაიწყო ლაპარაკი იმპერიალისტურ მთავრობასთან.

ეს დიდათ არ მოსწონს ბურჟუაზიას. მაგრამ საბოლოოდ ის იძულებული გახდება ან დააკმაყოფილოს მუშების მოთხოვნილებანი, ან და გადადგეს. ვნახოთ რომელს არჩევს ბატონი ბოლდუინი.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთი მოითხოვს უკანონო ხელშეკრულებათა გაუქმებას.

ჩინეთის მთავრობამ გადასცა უცხოელების წარმომადგენლებს ნოტა, რომელშიაც მოითხოვს არასწორუფლებიან ხელშეკრულების შეცვლას.

ეს ფაქტი გვიჩვენებს მოძრაობის სიძლიერეს, რომელმაც თვით კონსერვატიული მთავრობაც კი აიძულა ხმა აღემაღლებია უცხოელ ძალადობის წინააღმდეგ და შეერთდებოდა ანტიმილიტარისტულ მოძრაობას.

## საბჭოთა მიმართ კარგი დამოკიდებულების აშკარა საბუთი.

მიუხედავათ იმისა, რომ შანხაის გაფიცვების გაფართოების გამო იაპონიის გემები იძულებული შეიქმნენ შეეწყვიტათ რეისები შანხაიში, აქ შემომსვლელი საბჭოთა გემები არავითარ დაბრკოლებას არ განიცდიან გაფიცვების გამო: დატვირთვა და გადმოტვირთვა სწარმოებს დაუგვიანებლად.

## არ ეჭაშნიკათ სიმართლე.

ლიბერალური გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი" ინგლისის წარმომადგენლის ხოჯსონის განცხადების გამო საქართველოს მდგომარეობის შესახებ, ურჩევს მთავრობას გამოაქვეყნოს თავისი აზრი ხოჯსონის განცხადების შესახებ და განმარტოს, რატომ მიესალმა ხოჯსონი საბჭოთა ხელისუფლების „დამსახურებას".

## ინგლისის საკანონმდებლო წრეში.

**„რუსეთის მსოფლიო ბაზარზე დაბრუნებას დიდი მნიშვნელობა ექნება ინგლისისთვის".**

გამოქვეყნებულია ოფიციალური ანგარიში ბრიტანეთის მთავრობისა, იმ თათბირის შესახებ, რომელიც მოხდა ტრედიუნიონების კონგრესის დელეგაციასა და ბალდუინსა და ჩემბერლენს შორის. ანგარიშში აღნიშნულია, რომ პერსელი, ბრამლი და ტეილორი დაჟინებით მოითხოვდენ საბჭ. კავშირის სრულ დიპლომატიურ ცნობას და სავაჭრო შეღავათების გავრცელებას მწვავე უმუშევრობის გამო.

ბალდუინმა უპასუხა, რომ რუსეთი ასაღებდა სულ უმნიშვნელო ნაწილს ბრიტანეთის ექსპორტისა, მაგრამ რუსეთის დაბრუნებას მსოფლიო ვაჭრობის სფეროში, მართლადაც ექნებოდა დიდი მნიშვნელობა ინგლისისათვის.

შემდეგ ბალდუინმა აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობა მიესალმება საბჭ. კავშირის შესვლას ხალხთა მეგობრულ კავშირში და ერთა ლიგაში.

თავის მხრივ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ რუსეთთან ვაჭრობის დროს არ აქვს ადგილი რაიმე შეზღუდვას დიპლომატიური მოსაზრებით და თუ რუსეთი მოისურვებს, შეუძლია მას გაადიდოს თავის სავაჭრო ტრიალი ინგლისთან. ჩემბერლენმა მხარი დაუჭირა აგრეთვე პრემიერის განცხადებას, რუსეთის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

## იმავე ჭუჭყიანი წყაროდან.

კონსერვატიულ გაზეთის „დეილ ტელეგრაფ"-ის დიპლომატიური კორესპონდენტი სწერს, რომ ლონდონში ამ უკანასკნელ ხანებში მიღებულია მთელი რიგი ცნობებისა საბჭოთა პროპაგანდის გაძლიერების შესახებ ავღანისტანსა და სპარსეთში.

კორესპონდენტი უმატებს აგრეთვე, რომ იმავე უცხოეთის წყაროების მიხედვით, რომელმაც ის გააფრთხილა მომავალ სოფიის თავდასხმაზე, ახლო მომავალში სპარსეთში უნდა დაიწყოს მთავრობისა და უცხოეთის გავლენის საწინააღმდეგო მოძრაობა, უმთავრესად ინგლისის წინააღმდეგ.

## პროფესორი მურრეი ერთა ლიგის შესახებ.

პროფესორი ჯილბერტ მურრეი, რომელიც გამოვიდა ერთა ლიგის კლუბის გენერალურ საბჭოს სხდომაზე ლივერპულში, შეჩერდა „ტაიმსის" ბერლინიდან მიღებულ ცნობაზე, რომ თუ გერმანია შევა ერთა ლიგაში და ხელს მოაწერს საგარანტიო ხელშეკრულებას, მაშინ რუსეთიც, რომ არ დარჩეს განცალკევებული, გადადგმას ნაბიჯებს ერთა ლიგაში თავის მეთვალყურის გასაგზავნად.

ამასთან დაკავშირებით მურრეიმ განაცხადა: „არავინ არ მოელოდა, რომ რუსეთი განაცხადებდა ერთა ლიგაში შესვლის სურვილს.

რუსეთს რომ განეცხადებია ასეთი სურვილი, მე გული შემიწუხდებოდა. რაც შეეხება რუსეთის მიერ ერთალიგაში თავის მეთვალყურის გაგზავნას, რომ გაიგოს მართლაც ისეთი უვარგისია ერთალიგა, როგორც ამას რუსეთში ფიქრობენ— ეს იქნებოდა საუკეთესო გამოსავალი".

ჩინეთის ამბების შესახებ მურრეიმ სთქვა: „ჩვეულებრივად კითხულობენ, რომ რატომ ერთალიგა არ ერევა ჩინეთის საქმეებშიო და იქავე განაცხადა: „როგორ შეიძლება ლიგა ჩაერიოს? ეს ხომ ერთა ლიგაა, ხოლო ამბები მიდის ჩინეთში, რომელიც არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ერს, ვინაიდან დაყოფილია ნაწილებად"-ო.

# გერმანიის სტუდენტ-ტერორისტების გასამართლება.

## კრილენკოს განცხადება.

25 ივნისს დილის სხდომაზე სასამართლო არკვევს ბერლინიდან ახლად გამოწვეულ მოწმეების ფინკისა და როზეს ვინაობას.

შემდეგ ბრალმდებელი კრილენკო აცხადებს შემდეგს:

„სასამართლომ კანონის თანახმად უნდა მიიღოს ზომები, რათა მოწმეებს საშუალება არ ჰქონდეთ ერთმანეთთან ურთიერთობისა. ამიტომაც ჩემ მიერ გაცემული იყო განკარგულება, რათა მოსვლისთანავე მოწმეები მოეყვანათ უზენაეს სასამართლოს შენობაში. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მე ვაცხადებ, რომ მოწმეებს უფლება აქვთ ქალაქში სიარულის, სანამ სასამართლოს არ დასჭირდება მათი ჩვენება, მაგრამ ჩვენ მიერ მიღებულ იქნება ზომები, რომ მათ კავშირი არ იქონიონ სხვა მოწმეებთან.

სასამართლო ამტკიცებს ბრალმდებლის მიერ მიღებულ ზომებს.

**ბერლინის „ოხრანკის“ საქმე.**

**ბრალდებულ დიტმარის ჩვენება.**

სასამართლო გადადის ბრალდებულ დიტმარის დაკითხვაზე, რომელიც ამბობს:

„ციხეში დიდხანს ყოფნაში მე, მოვახდინე ჩემი ცხოვრების გადაფასება. როცა მე ვნახე ციხეში ყოფილი მებრძანებელნი, გამაოცა ბურჟუაზიის ნამდვილმა სახემ. მღვდლები ქრისტეს მოძღვრების დაცემის გამო კი არ სწუხდენ, ისინი სტიროდენ დაკარგულ ფუფუნებით ცხოვრებას, დაკარგულ ძალაუფლებასა და ფულებს. ოფიცრები და მემამულეები სამშობლოს ბედ-იღბალზე კი არ სწუხდენ, არამედ იგონებდენ ძველ ქეიფსა და დროს ტარებას, ოცნებობდენ თუ როგორ დაატრიალებდენ მათრახებს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის მოსკოვში დაბრუნების შემდეგ. მიუხედავად ყოველი ჩემ მიერ ნახულისა, მე მაინც ვცდილობდი ჩემი და მეგობრების გათავისუფლებას ჩვენების მიცემის დროს ოველთვის ვცდილობდი კვალი დამებნია გამომძიებლისთვის.

მაგრამ როცა მანახეს კინდერმანის წერილი ბერლინის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რომელიც ამჟღავნებდა მას, როგორც გერმანიის პოლიციის აგენტს, ამ წერილმა მეტად ცუდათ იმოქმედა ჩემზე და მე ვსთხოვე ჩემს დარაჯ მხლებელს თოფი ესროლა ჩემთვის...

ყველაფერი, რაც მე დღემდის მწამდა, სადღაც შთაინთქა. მე მივხვდი თუ როგორ გამოიყენეს მე თავიანთ ინტერესებისთვის. ჩემი დღევანდელ მდგომარეობის მიზეზია ის საზოგადოება, რომელშიაც მე ვცხოვრობდი. მაგრამ მე გთხოვთ, რომ ნუ ჩამთვლით დაქირავებულ აგენტების რიცხვში“.



ამხ. კრილენკო.

შემდეგ დიტმარი ამბობს თავის ბიოგრაფიას, თუ როგორ მოხვდა ის ფაშისტური ორგანიზაცია—„კონსულში“ და თუ როგორ გამოიყენა ის ამ ორგანიზაციამ გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ და სხვა.

**ბრალმდებლის წინადადება.**

ბრალმდებელი კრილენკო წინადადებას იძლევა შეჩერდენ დიტმარის ჩვენებაზე და განიხილონ ამასთან დაკავშირებით, სწორადაა თუ არა საბრალმდებლო ოქმში აღნიშნული მაშინდელ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის როლი და სხვა. ამას გარდა კრილენკოს წინადადება შემოაქვს ორგანიზაცია „კონსულის“ საქმიანობის განსახილველად.

დამცველები უერთდებიან კრილენკოს წინადადებას, როგორც ბრალდებული ვოლშტი და კინდერმანი.

**ფაქტები ლალადებენ.**

საქმის შემდეგ მსვლელობის შესახებ კრილენკო აცხადებს, რომ საჭიროა საკითხის უფრო ნათელსაყოფად წაკითხულ იქნას რამოდენიმე საბუთები ერხარდტის წიგნიდან.

კრილენკო კითხულობს ნაწყვეტებს კაპიტან ერხარდტის წიგნიდან, საიდანაც მტკიცდება მოხალისეთა რევოლუციონური არმიის შედგენის ფაქტი ოფიციალური არმიის არა საიმედობის გამო.

**თავხედურ გამოსვლებს ბოლო მოეღება.**

ერხარდტის წიგნის კითხვის დროს კინდერმანი სდგება და თავხედურად აცხადებს: „მე უყურებ მთელ საქმეს, როგორც საინტერესო სათეატრო წარმოდგენას, სადაც მე ვთამაშობ არა მაყურებლის, არამედ მსახიობის როლს. თავმჯდომარე აფრთხილებს კინდერმანს, რომ თუ ის კიდევ შეუშლის ხელს სასამართლოს, უკანასკნელი იძულებული იქნება გაარჩიოს საქმე მის დაუსწრებლად.

ყველა მასალების წაკითხვის შემდეგ, კრილენკო მიზანშეწონილად სთვლის გერმანიის ზოგად პოლიტიკურ მდგომარეობის გაშუქებას, რისთვისაც საჭიროა ბრალდებულთა პასუხი და განმარტებანი და აგრეთვე მოწმე ბაუმანის ჩვენება.

სასამართლო გადადის ბაუმანის დაკითხვაზე.

# უმაგალითო წყალდიდობა სომხეთში.

## არის ადამიანთა მსხვერპლი. ზარალი რამოდენიმე მილიონ მანეთს უდრის.

25 ივნისს კოტაიკას (ერევანში) რაიონში დიდი წყალდიდობა მოხდა, როგორსაც რამოდენიმე ათეული წელიწადია ადგილი არ ჰქონია.

მეტად დაზარალდა უნივერსიტეტის სამეცნიერო ხელსაწყოების საწყობები, წითელი ჯვრის მედიკამენტების საწყობები, კომკავშირელთა კლუბი, სომხეთის ჩეკას შენობა, მეორე საავადმყოფო და სხვა.

წყალმა წაიღო ბევრი ხიდი.

დაინგრა რამოდენიმე გზატკეცილი.

ქალაქში და მიდამოებში არის ადამიანთა მსხვერპლი. ქალაქ ერევანის წყლის სისტემა სრულიად დანგრეულია. ზარალი რამოდენიმე მილიონ მანეთს უდრის.

წყალდიდობის ლიკვიდაციაში დიდ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ მთავრობისა და ცაკის წევრები.

# მოსკოვ-ჩინეთის საჰაერო ექსპედიცია.

საჰაერო ექსპედიცია დარჩება ირკუტსკში 4 დღ. თვითმფრინავებსა და მანქანებს გულდასმით სინჯავენ, ვინაიდან წინ უძევთ მეტად ძნელი გადაფრენა ბაიკალის ტბასა და ხაბარლაზანის მთაგრეხილზე.

# საბჭოთა პავილიონი პარიზის გამოფენაზე.

საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა დაათვალიერა საბჭოთა პავილიონი პარიზის გამოფენაზე. პრეზიდენტს შეხვდა დავტიანი, კრასინის მოადგილე. დუმერგი მეტად დაინტერესდა საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა ერების მხატვრული მრეწველობით.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

## როგორ უნდა გაიგნო გზა ტყეში.

ყველამ ვიცით, რომ ტყეში ძალიან ძნელია გზის გაგნება, ე. ი. გარკვევა, სად იმყოფები და საით უნდა წახვიდე, რომ დანიშნულ ადგილზე მიხვიდე. ტყეში ადვილად დაიბნევი, ხეებში ვერაფერს ხედავ, ხოლო გზა იკლაკნება გველივით. ბილიკები ხომ იმდენია ტყეში, რომ არ იცი რომელს გაჰყვე. არის გზები, რომლებიც მიდიან სათვეში, და უკან სწყდებიან. არის მხეცების მიერ გატკეპნილი ბილიკები; ამ ბილიკებით შორს ვერ წახვალ. უგზოდ სიარული ტყეში კი მეტად ძნელია: აქ უსათუოდ დაიბნევი და იხეტიალებ უგზოდ. როგორ უნდა მოსძებნო ნამდვილი გზა? რასაკვირველია კარგია იშოვნო გზების მცოდნე ადგილობრივი მცხოვრები. მაგრამ ის უნდა იყოს შინი კაცი, ერთგული, თორემ ისე დაგაბნევს, რომ შემდეგ სულ ვერ გაიგნებ გზას. ყოველ შემთხვევაში კარგად უნდა ადევნო თვალყური გზის მაჩვენებელს არ გაიქცეს, ის წინასწარ უნდა გააფრთხილო, რომ მოტყუილებისთვის სასტიკად დაისჯება.

მაგრამ თუ გზის მაჩვენებელი არ გყავს ტყეში, შეიძლება წინსვლა რუქის მიხედვით. რუქა ნახატია, რომელზედაც გადაღებულია მოცემული ადგილმდებარეობა: გზები, ტყე, სოფლები, წყლები, მთები და სხვა. ჯერ რუქაზე უნდა მონახო ის ადგილი, სადაც იმყოფები და შემდეგ მოაბრუნო რუქა ისე, რომ რუქის ჩრდილოეთი ხვდებოდეს ნამდვილ გეოგრაფიულ ჩრდილოეთს, სამხრეთი—სამხრეთსა და სხვა. მაშინ რუქაზე გადაღებული ყველაფერი ისე მოეწყობა, როგორც ნამდვილად არის. ნამდვილი ჩრდილოეთი რომ იპოვნო, ამისათვის საჭიროა ყიბლანა. ყიბლანა რგვალი კოლოფია, რომლის შიგნით მანქანალზე მიმაგრებულია დამაგნიტებული ისარი. ეს ისარი ერთი წვეროთი მიმართულია მუდამ ჩრდილოეთისაკენ, მეორეთი სამხრეთისაკენ. ყიბლანას საშუალებით ჩვენ ვმართავთ რუქას როგორც საჭიროა და შემდეგ ვაკვირდებით რუქაზე და ვხედავთ—რა მიმართულებით იმყოფება ის ადგილი, საითკენაც უნდა წავიდეთ. ვსთქვათ ეს ადგილი იმყოფება ჩვენგან აღმოსავლეთით. ჩვენ მოვბრუნდებით ამ მიმართულებით, დავინიშნავ რომელიმე ხეს და მივდივართ ამ ხისკენ. ამ რიგად ჩვენ მივდივართ აღმოსავლეთისკენ, ე. ი. იქეთ, საითაც წასვლა გვინდა. ამ ხემდის რომ მივალთ, ჩვენ ხელახლა მოვმართავთ რუქას ყიბლანას საშუალებით და იმგვარადვე დავინიშნავთ შემდეგ გზას.

თუ ყიბლანა არ გვაქვს, ჩრდილოეთის პოვნა შეიძლება საათის ან მზის საშუალებით.

ჩვენ ვიცით, რომ საათის ისარი შემოივლის თავის რკალს 12 საათში, ხოლო მზე 24 საათში.

სრულ ღამის 12 საათზე საათის ისარი აჩვენებს 12 საათს, ხოლო ამ დროს მზე იმყოფება ჩრდილოეთისაკენ და ჩვენ მას ვერ ვხედავთ. ვთქვათ საათის ისარი გადავიდა 12-დან 4 საათით; ამ ხნის განმავლობაში მზემ გაიარა მხოლოდ ამ მანძილის ნახევარი ჩრდილოეთიდან. მივმართოდ ეს ნახევარი (დილის ოთხი საათი) მზისკენ, მაშინ ციფრი 12 მიმართული იქნება ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ თუ ისარი, ვსთქვათ, აჩვენებს დღის ორ საათს, სჩანს, რომ მას გაუვლია უკვე 12 საათი და კიდევ 2, სულ 14 საათი. ხოლო მზემ ამ ხნის განმავლობაში გაიარა ნახევარი, ე. ი. 7 საათი. მაშასადამე თუ ჩვენ ციფრს 7 (დღის 2 საათს) მივმართავთ მზისკენ, ციფრი 12 გვიჩვენებს ჩრდილოეთს.

რასაკვირველია ეს საშუალება კარგია მხოლოდ მოწმენდილ, მზიან ამინდში. ვარსკვლავიან ღამეში ჩრდილოეთის პოვნა შეიძლება ვარსკვლავების საშვალებით. უნდა მოძებნო პოლარული ვარსკვლავი, რომელიც იმყოფება ჩრდილოეთის მხარეზე.

## 4. ქიმიურ ცოდნის შესახებ.

როცა ლაპარაკობენ ხალხის ცრუმორწმუნეობაზე, ამ ცუდ მხარეს ხსნიან იმით, რომ ხალხი ბნელი და გაუნათლებელია, მას არ აქვს ცოდნა.

რა უმთავრესი ცოდნა უნდა მიეცეს პირველ რიგში ხალხს?

ამ შეკითხვაზე შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხი: ხალხს პირველ ყოვლისა ესაჭიროება საბუნებისმეტყველო მეცნიერება,—მეცნიერება, რომელიც აუხსნის თუ როგორაა აგებული გარემო ბუნება.

ამ მეცნიერებათა შორის მთავარი მეცნიერება ქიმიაა. ქიმიურ ცოდნის გარეშე არ შეიძლება კაცი სრულიად განათლებული იყოს და ესმოდეს თუ როგორ ხდება ბუნებაში სხვა და სხვა მოვლენები, რაზეა დამოკიდებული მათი წარმოშობა, რომლებიც პირველ შეხედვით რაღაც საიდუმლოსა და გაუგებარს წარმოადგენენ.

რომ ადვილად დაემორჩილებინათ ხალხი, ძველი მთავრობები სცდილობდენ სიბნელეში ჰყოლოდათ ხალხი და არ მიეცათ მათთვის ცოდნა. დღეს ასე არ არის, ვინაიდან ჩვენი მთავრობა თვით ჩვენი ხალხია და ამ ხალხს უნდა ჰქონდეს საჭირო ცოდნა, განსაკუთრებით ქიმიური.

მაგრამ როგორ მისცემ ცოდნას ხალხს, როცა ჩვენ ქიმიკოსები ცოტა გვყავს, ხოლო ქიმიკოსი მასწავლებლები ხომ უფრო ნაკლებია. ამ ქიმიკოსების სოფლად გაგზავნა არ შეიძლება, ხოლო იმავე დროს, ქიმიური ცოდნა თუნდაც დაწყებითი, აუცილებელი საჭიროა გლეხისათვის დაჩქარებით.

აი ამ შემთხვევაში კვლავ დიდ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას მეომარი, რომელსაც ექნება ერთგვარი, თუნდაც მცირედი ქიმიური ცოდნაც.

წითელი არმიიდან სოფლად დაბრუნების შემდეგ ის მოუთხრობს გლეხს რა არის ქიმია, რას გვასწავლის ის და როგორ გვიხსნის ბუნების სხვა და სხვა მოვლენებს. ასეთი მეომარი შესძლებს აუხსნას გლეხს, რომ არავითარი ჯადო და კუდიანობა არ არსებობს, რომ ყოველ საიდუმლო საგანსა და მოვლენას ადამიანი ადვილად ახსნის მეცნიერული ცოდნით. მეომრის ახსნა ხელს შეუწყობს ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლას გლეხთა მასებში. ხოლო ეს კი მეომრის მხრივ დამსახურება იქნება სამშობლოს წინაშე.

ლ. ვორონოვი.

# პარტიის ამოცანები ჯარში ტერ-არმიელების ვადიან შვებულებაში დათხოვნისას.

აუცილებლად ცნობილი იქმნას, რომ არმიის პოლიტიკურმა სამმართველომ სპეციალური მუშაობა აწარმოოს იმ წითელ-არმიელებში, რომლებიც წელს ათავებენ სამხედრო სამსახურს და სოფლებში ბრუნდებიან; ამასთანავე სამმართველომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის, რომ მან ერთდაგვარი მომზადება უნდა მისცეს წითელ არმიელებს, ამ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც წამოყენებულია პარტიის მიერ სოფლად მუშაობის სფეროში.

თანახმად რ. კ. პ. მე-14 პარტ-კონფერენციის პარტაღმშენებლობის შესახებ დადგენილებისა მუშაობის სიმძიმის ცენტრი, გადატანილი უნდა იქმნას ტერ-არმიელების ვადიან შვებულებაში გაშვების და ძირითად შემადგენლობის უვადო შვებულებაში დათხოვნის დროს, რაც წარმოადგენს სოფლის ამოცანების ფართედ გაშუქებას გასაშვებ წითელ არმიელთა მასაში.

დაახლოვებით სექტემბრის დამლევს ტერ-ნაწილების ცვალებად შემადგენლობა წავა ვადიან შვებულებაში, შემოდგომაზე მოხდება 1902 წ. დაბადებულების ძირითად შემადგენლობის უვადო შვებულებაში გასვლა, ამოცანა, რომელიც დაავალა წითელ ჯარს მე 14 პარტ-კონფერენციამ, შესრულებული უნდა იქნას წითელ არმიელების შვებულებაში გასვლის პერიოდს.

ასეთ პერიოდს უახლოვდება ჯარი და საჭიროა პარტორგანიზაციამ ნაწილებში წინასწარ მიიღოს სათანადო ზომები. აშკარაა ჩვენი მუშაობა ამ მხრივ უეჭველად გამოიღებს სოფლად ნაყოფს, ამისათვის ამ პერიოდში პარტორგანიზაციამ ჯარში უნდა იქონიოს განსაზღვრული გეგმა დასახული მიზნის განსახორციელებლად.

ამ მუშაობამ ჯარში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს კარჩაკეტილი ხასიათი, ის უნდა ცდილობდეს მუშაობაში ჩაითრიოს წითელ არმიელთა მასა და შეძლოს გლეხების წრიდან აქტივის გამომუშავება.

დღეს სოფლად მრავალი და მეტად სერიოზული კითხვები არის წამოყენებული, რაც ყურადღებას იპყრობს პარტიული და საზოგადოებრივი აზრის მხრივ. უკანასკნელ მე-14 პარტ-კონფერენციაზე გლეხთა საკითხი იდგა, როგორც ერთი კარდინალური კითხვათაგანი, რომელმაც მიიღო სათანადო თავისი დასკვნა.

დღეს კი საჭიროა კითხვის განაღდება.

ამ კითხვის შესწავლა და მისი შეგნებულათ გატარება ჯარის ტერ-სისტემის პირობებში გაცილებით უფრო ადვილი საქმეა, მხოლოდ საჭიროა პარტ-ორგანიზაციის მაქსიმალური ენერგიის დაჭიმვა აღნიშნულ პერიოდში.

ამ მუშაობის გასატარებლად ჯარში უნდა გამოყენებულ იქმნას არა მარტო ჯარში მყოფი აქტიური ძალა, არამედ სამოქალაქო ორგანიზაციის საუკეთესო ძალები.

პატარაია.

# ცვალებადელთა პირველი დღეები წითელ ყაზარმაში.

## მისალმების დეპეშები.

### მე-2 ქართულ ტერიტორიალურ მსროლელ დივიზიაურს და სამხკომს

**მე-4 ქართულ ტერიტორიალურ მსროლელ ლეგიონთაურისაგან.**

1902 წელში დაბადებულთა ცვალებადი შემადგენლობის წითელ არმიელთა საერთო კრება ესალმება დივიზიის ხელმძღვანელებს და სურვილს გამოსთქვამს ზედმიწევნით შეისწავლოს სამხედრო საქმე, რათა ცოდნით და რევოლიუციონური სინდისით შესაფერისი პასუხი გასცეს ოქტომბრის რევოლიუციის მტრებს.

ლეგიონთაური ზალინაშვილი. სამხკომი ნანაძე.

### მე-2-ე ქართულ ტერიტორიალურ მსროლელ დივიზიაურს და სამხკომს.

მე-5-თე ლეგიონის შემადგენლობა გესალმებათ თქვენ კლუბის საზეიმო გახსნის, და ახალ წვეულთა შეხვედრის გამო. ფიცსა ვსდებთ, რომ ჩვენ თქვენი ხელმძღვანელობით საჭირო დროს გამახვილებული იშტებით დავიცავთ მუშებისა და გლეხების მონაპოვარს. გვიხელმძღვანელეთ ვისწავლით და მუდამ მზად ვიქნებით.

პრეზიდიუმი.

## ჩვენი გაზეთი.

**მეხუთე ლეგიონი.**

მომავალ ცვალებადელებთან შეხვედრის მიზნით ლეგიონის მესამე ათასეულის სარედაქციო კოლეგიამ ადგილობრივ ტერ-კომისიასთან შეთანხმებით გამოუშვა ერთდროული სპეციალური გაზეთი „წითელი მებრძოლის“ სახელწოდებით. გაზეთი იქნა გამოშვებული 200 ეკზემპლიარად. შინაარსი შერჩეული იყო ცვალებადელების შეკრების მიზნებისადმი და საერთოდ აშუქებდა ტერიტორიალური სისტემის ძირითად დებულებებს.

გაზეთის სოფლებში გავრცელებისათვის მიღებულ იქნა ყოველგვარი ზომები. გლეხები დიდი ინტერესით ხვდებოდენ მას. არა ნაკლები სიხარულით შეხვდენ გაზეთს ახალწვეული ცვალებადელები. თითქმის სათითაოდ დაურიგდათ მათ ეს გაზეთი. ისინი ერკვეოდენ თავის მდგომარეობაში და ეცნობოდენ მათი მომავალი ცხოვრების პირობებს.

სამხკორი ყულისკარელი.

## მოგვეცით საცხოვრებელი ბინები.

**4-ხე ლეგ. 2-რე ათასეული.**

მეოთხე ლეგ. მეორე ათასეულის რამდენიმე მეთაურს არა აქვთ საცხოვრებელი ბინა და ღამის გათევა უხდებათ ზოგს ასეულებში და ზოგს ათასეულის შტაბში.

ეს იმათ ვინც ოჯახიანი არ არის კიდევ არა უშავთ რა, თუმცა ესეც ყოვლად დაუშვებელია, მაგრამ რა უნდა ქნან იმ მეთაურებმა, რომლებსაც ჰყავთ ცოლშვილი—ოჯახი სად უნდა წაიყვანონ და სად უნდა შეაფარონ თავი? კერძო ოთახებს ჯერ ერთი არავინ გვიჩენს და შემდეგ 20-და 30 მანეთს მოითხოვენ თვიურად რაც ჩვენ არ შეგვიძლია.

უმთავრესი კიდევ ის არის, წითელ არმიელებთან სამეცადინოთ, მეთაური იქნება თუ პოლიტხელი ესაჭიროება მომზადება და ისე გამოსვლა მათ წინაშე, მაგრამ ამის საშუალება ჩვენ არა გვაქვს. მაგალითისთვის მომყავს ჩემი თავი.

ამა წლის 20 აპრილს დავამთავრე სამხედრო პოლიტიკური სკოლა და ოთხ მაისს მე შეუდექი მოვალეობის ასრულებას. ამ ხნის განმავლობაში მე არა მქონია ოთახი და ხან სად ვ თევ ღამეს და ხან სად.

ბინის უქონლობის გამო რაც ვიცოდი ისიც დამავიწყდა არამც თუ რამე ახალი შევიძინე. ვერ ვკითხულობ ვერც გაზეთს და ვერც წიგნს, ან სად უნდა წავიკითხო?

სამუშაო კი ბევრი გვაქვს.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება. თორემ ასეთი ცხოვრების პირობები ყოველგვარ შრომის უნარს გვიკარგავს.

პოლიტხელი ნ. გარსევანიშვილი.

## გაერთიანებული კრება.

**მეექვსე ლეგ. 3-მე ათასეული.**

20 ივნისს შესდგა მეექვსე ლეგიონის 3-მე ათასეულის მეთაურ—პოლიტშემადგენლობისა და ცვალებადელების გაერთიანებული კრება, რომელსაც დღის წესრიგის მიხედვით უნდა გაერჩია შემდეგი საკითხები: მოხსენება ტერადმშენებლობის შესახებ; ქიმიური თავდაცვა; ათასეულის საბიბლიოთეკო საბჭოს არჩევა და სარედაქციო კოლეგიის არჩევა.

იყო სხვა მიმდინარე საკითხებიც.

ტერსისტემის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. პოლიტხელი, რომელმაც დაწვრილებით განუმარტა კრებას ტერ-სისტემა, მისი აღმშენებლობა და პრინციპები. მოხსენება ყურადღებით იქნა მოსმენილი და გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუცია.

ქიმიურ თავდაცვაზე ილაპარაკა ამხ. ახალკაცმა. მან აუხსნა ცვალებადელებს ქიმიური თავდაცვის და საერთოდ ქიმიური ომების შესახებ და მოუწოდა მათ ჩაწერილიყვენ საზოგადოებაში წევრებად კრების მთელი შემადგენლობა სიხარულით გამოეხმაურა ამ მოწოდებას და აირჩიეს კომისია, რომელიც დაიჭერს კავშირს ლეგიონის უჯრედთან.

არჩეული იქნა ბიბსაბჭოც. სარედაქციო კოლეგიის არჩევნებმა უფრო შეჯახება და აზრთა სხვა და სხვაობა გამოიწვია.

ბოლოს ისიც აირჩიეს ხუთი კაცისაგან და სხვა და სხვა შეკითხვების შემდეგ კრება დაიხურა.

სამხკორი დ. ჭ—ძე.

## ჩვენ შევასრულებთ, ჩვენს მოვალეობას.

**მეექვსე ლეგ. 3-მე ასეული.**

სოფელშივე გვეუბნებოდენ და გვარწმუნებდენ თუ როგორი კარგი პირობებია შექმნილი წითელ ყაზარმაში, და როგორი ყურადღება ექცევა წითელ არმიელის კულტურულად თუ სხვაგვარ მომზადების საქმეს. ჩვენ ეს გვჯეროდა მაგრამ სრული დარწმუნებული არ ვიყავით. მაინც შეგვდიოდა ეჭვი. რას იზამ, საკუთარი თვალით თუ არ ნახე ისე ძნელია რამეში დარწმუნდე. განსაკუთრებით სოფლელებს გვჩვევია ეს.

პირველად ყოვლისა ასეულის უფროსების ამხანაგურმა მოპყრობამ გაჰფანტა ჩვენში ასეთი იჭვები და შემდეგ ყაზარმაში მოსვლამ, იქაურების შეხვედრამ, ჩვენზე მოქცეულმა ყურადღებამ და ბოლოს იმ ცხოვრების პირობებმა, რომელშიდაც ჩვენ მოგვიხდა ფეხის შედგმა.

იშვიათური მზრუნველობით გვექცეოდენ ამხანაგები. მოსვლისთანავე აბანო, დასუფთავება, საუბრები, ლექციები, წერა-კითხვის სწავლის დაწყება და ვინ იცის კიდევ რა. უფროსები ხომ ნამდვილი ამხანაგები არიან ჩვენი.

ჩვენ ცვალებადელები მივწერთ ჩვენს მშობლებს დუშეთის მაზრის სოფლებში, თუ როგორ შეგვხდენ ჩვენ, როგორ მიგვიღეს და როგორ გამოგვაფხიზლებს, შეგვაგნებიებს წითელი ყაზარმა ყოველივე იმას, რაც აუცილებელია მშრომელი ახალგაზრდობისათვის.

ჩვენ ვეცდებით დაუმტკიცოთ მუშურ-გლეხურ მთავრობას და უფროსებს ჩვენი ერთგულება. ვაშა მათ.

ცვალებადელი ს. ალექსიშვილი.

# ნაწილების მუშაობა განაკში.

## ჩვენი ბიბლიოთეკა.

**3-მე ლეგიონი.**

მე-3-მე ლეგიონის ბიბლიოთეკის მუშაობა კარგად არის დაყენებული.

ამ უკანასკნელ ხანებში ისე გამდიდრდა ბიბლიოთეკა რომ თითქმის ყოველნაირ წიგნებს იშოვით შიგ.

მკითხველთა რიცხვი ერთი ორათ გაიზარდა. ახალწვეულების მოსვლის შემდეგ ახალწვეულებისათვის სწარმოებს წიგნების შერჩევა, რომელსაც ხელმძღვანელობს. ბიბ. გამგე.

ასეთი წესი კარგ შედეგს იძლევა წითელ-არმიელებისათვის.

ამნაირად წიგნის განაწილება ჯეროვანად არის მოწყობილი, მხოლოთ საჭიროა ლენინის კარვებში მეტი ლიტერატურული წიგნები იყოს და მალმალე ხდებოდეს წიგნების გამოცვლა.

ჟურნალ გაზეთები საკმაოდ გვაქვს. მოგვდის ყოველნაირი გაზეთები, რუსული, ქართული და სომხურიც.

ლეგიონისათვის გაზეთები საკმარისია, მხოლოთ გაზეთი „წითელ-არმიელის“ რიცხვი უნდა გადიდდეს, ვინაიდან ძალიან ცოტა მოგვდის, და მკითხველთა რიცხვს არ აკმაყოფილებს და მას უფრო ხშირათ ეტანებიან წითელ-არმიელები.

ბიბლიოთეკის მუშაობა სხვა მხრივაც დამაკმაყოფილებელია

სამხკორი კაკო.

## აჩქარებით საქმე არ გაკეთდება.

**პირველი ლეგიონი.**

1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდის შენობასთან მოთავსებულია ფეხსაცმელების სამკერვალო. მკერავ არმიელების მოვალეობას შეადგენს შეაკეთონ წითელ არმიელების დაცვეთილი ფეხსაცმელები, თუ კი ისენი მოთხოვენ შეკეთებას. მართალია აღნიშნული ხელოსნები არ ზოგავენ ენერგიას და მუშაობენ, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მათ მუშაობას მაინც ზარალის მეტი არა მოაქვს რა. ხელოსნები დაინტერესებული არიან რომ მალე მოიშორონ თავიდან საქმე. ამიტომ ჩქარა და ფეხსაცმელებს ძალიან სუსტათ აკეთებენ, რასაც შედეგად მოსდევს მეორე თუ მესამე დღეს ისევ შეკეთება. ტყავის ის ნაჭერი, რომელიც სუსტად არის დაკერებული, რასაკვირველიავარდება და იკარგება, რის შემდეგ საჭიროა მეორის დაკერება, რომელიც ზედმეტ ხარჯს იწვევს. უკეთესია ჩვენი ხელოსნები უფრო ნელად და კარგათ შეაკეთებდენ ფეხსაცმელებს, რითაც აგვცდება ზედმეტი, როგორც ხარჯები ისე მუშაობაც.

სამხკორი დურბინდი.

## სამხედრო პოლიტსკოლის ბიბლიოთეკა.

ბანაკათ გასვლისას პოლიტსკოლის ბიბლიოთეკამ შერჩევით წამოიღო 1.500-მდე ცალი წიგნი-უმთავრესად ქართულ ენაზე, რადგან რუსული ლიტერატურით მდიდარია ჩვენი აქაური მეზობელი—რუსული სკოლა... ჩვენ ერთმანეთს შორის ვაწარმოებთ წიგნების გაცვლა-გამოცვლას კოლექტიურ აბონიმენტის სახით. ბიბლიოთეკა ორივე ნაწილისა ერთდა იმავე შენობაშია მოთავსებული. შედარებით სუსტად მიმდინარეობს სამკითხველოს მუშაობა—ბინის სივიწროვის გამო... ჟურნალ-გაზეთებს ძველებურად ვღებულობთ, მხოლოდ აგვიანდება კი, რადგან აქ ფოსტა კვირაში ორჯერ მოდის.

მომავალ თვიდან, რაკი გვითავდება ხელის მოწერის ვადა-განახლების დროს ეს დაბრკოლება აუცილებლად თავიდან აცილებული იქნება—ვეცდებით გაზეთები ადგილობრივ კონტრაგენტის საშვალებით გამოვიწეროთ, რადგან ის თითქმის ყოველდღიურად ღებულობს—მათ...

ბიბლიოთეკამ სოფლად მუშაობისთვის ცალკე გამოყო შესაფერი ლიტერატურა და საშეფო სოფლის კოხ-სამკითხველოსთვის კომუჯრედს გადასცა პოპულიარული წიგნები-გლეხობაში დასარიგებლად.

დავაარსეთ საბიბლიოთეკო წრე, რომლის მიზანია საბიბლიოთეკო ცოდნის გავრცელება კურსანტებში.

კურსანტები, მიუხედავათ დროის უქონლობისა, საკმაო ხალისით ეკიდებიან თვითგანვითარებასაც.

გრ. შავგულიძე.

## ჩვენი მიღწევები.

**პირვ. ლეგ. საკავშირო კომისიის ექვსი თვის მუშაობა.**

ექვსი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენს ლეგიონში ჩამოყალიბდა საკავშირო კომისია, რომელიც ყოველთვის მჭიდრო კავშირს იჭერდა წითელ არმიელების სოფლებთან, სამხედრო ნაწილებთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

კომისიას გამოყოფილი ყავდა სხვა და სხვა სექციები მაზე მიმაგრებული კომისიის წევრებათ.

ექვსი თვის შემდეგ კომისიამ საერთო ანგარიში გაუკეთა ლეგიონის შემადგენლობის საერთო კრებას, თავისი მოღვაწეობის შესახებ, საიდანაც გამოირკვა შემდეგი:

კომისიას აღდგენილი ჰქონია კავშირი ყველა ორგანიზაციებთან, რამაც ხელი შეუწყო ლეგიონის დაახლოებას მუშებთან, გლეხებთან და სხვა ნაწილების არმიელებთან.

ამას გარდა ლეგიონის ყველა ასეულებში ჩამოყალიბებულია საკონსულტაციო ბიუროები. დანიშნულია არმიიდან საკონსულტაციო ბიუროს რწმუნებული, რომელიც ხელმძღვანელობს წითელ არმიელთა საჩივრებს და დახმარებას უწევს მათ.

ამის გამო ლეგიონის საკონსულტაციო ბიურო არის საკავშირო კომისიის ერთ-ერთი სექცია, რომელსაც უხდებოდა მაზრებთან და სხვა ორგანიზაციებთან მიმართვების გზავნა.

ამ მიმართვებმა დიდი ნაყოფი გამოიღო და განთავისუფლებულ იქნენ ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ღარიბ წითელ არმიელების დიდი რაოდენობა გადასახადებიდან, რამაც მოსპო უკმაყოფილება ლეგიონში.

კომისიის კრებები სულ გამართულა 6-ჯერ და ერთიც ასეულების წითელ არმიელების საჩივართა ბიუროს წევრების თათბირი. საკითხი გარჩეულია 18-ტი, ეწყობოდა ექსკურსიები სხვა და სხვა დაწესებულებებში, ბაღეში და სხვა.

ბიურო კოლექტივი უწევდა მას კარგ ხელმძღვანელობას.

მაზრებიდან ამ ბოლო დროს კომისიამ დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო მის მიმართვებზე, რომელშიც გათვალისწინებული იყო მთავრობის დეკრეტი წითელ-არმიელების ოჯახების შეღავათზე. ასეთი განცხადებები შემოვიდა საკავშირო კომისიაში 614; გაგზავნილია მაზრებში 643; მომართვა განცხადებები და საჩივრები ეხებოდენ: გადაგზავნილ იქნა გადასახადების განთავისუფლების შესახებ 308 განც. მიწების თხოვნის შესახებ 22. დაძმის სწავლის ფულის განთავისუფლების შესახებ 25. დარჩენილი ჯამაგირების მიღების შესახებ—27. ჩამორთმეული ცხენების დაბრუნების შესახებ 49. დახმარების მიცემის შესახებ ოჯახზე 94. სახლისათვის ხის მასალის მიცემის შესახებ 30—სხვა და სხვა მიწერები და აგრეთვე ხელმეორედ მიწერა 88. აქედან თფილისის მაზრას გაეგზავნა 69. სენაკს 36, შორაპანს 47, სიღნაღს 23. ოზურგეთს 42, ლეჩხუმს 18, ქუთაისს 54, ბორჩალოს 8, სოხუმს 16, დუშეთს 27, გორს, 52, ჭიათურას 4, ზუგდიდს 6. სხვა და სხვა კომისარიატებს, ბათუმს, დივიზიას პ. განყოფილებას, ცაგერს, რაჭას ოჩამჩირეს და სხვა რაიონებს 161.

უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებების თითქმის 80 პროც. გამოიღო ნიყოფი და იქნენ განთავისუფლებულნი.

ამის შემდეგ წ. არმიელებისგან განცხადებების შემოტანა გადასახადების შესახებ შეწყდა საკავშირო კომისიამ ასეთი ანგარიში წარუდგინა ლეგიონის წითელ არმიელთა გაერთიანებულ კრებას, რომელმაც ყველას ყურადღება მიიპყრო და კრებამ მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლათ. ბოლოს კრებამ აირჩია საკავშირო კომისიის ახალი შემადგენლობა ხუთი წევრისა და სამი კანდიდატისაგან.

იმედია ახალი კომისია უფრო ენერგიულად შეუდგება მუშაობას, ვინემ ძველი.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

# ახალი ამბები.

— **ლექციები ჭლექზე.** წითელ-არმიელთა ცენტ. კლუბში გამართული სანიტ. განათლების გამოფენაზე ჭლექის სამდღიურის განმავლობაში იწარმოებს ლექციების კითხვა მიმსვლელ ჯგუფებისათვის.

— **წყალსადენი განაპირა უბნებში.** ტფ. აღმასკომის გეგმის მიხედვით მიმდინარე წელიწადს უბნებში გაყვანილ იქნება წყალსადენი 10 ვერსის მანძილზე.

— **შემოსავალი ელექტრო სადგურიდან.** ელექტრო სადგურების სამმართველოს ცნობით გასული თვის განმავლობაში ელექტრო სადგურებიდან ქალაქს შემოსვლია 81.208 მან. 67 კ. ამავე ხნის განმავლობაში გასავალი უდრის 79.024 მან. 31 კ.

— **სოფლად თვალების** ავადმყოფობათა სამკურნალოდ ჯანსახკომს განზრახული აქვს მიავლინოს პროვინციებში 4 თვალის საექიმო რაზმი ამათგან 3 რაზმი გაიგზავნება ამ დღეებში.

— **თემალმასკომების** მდივნებთა კურსებზე პირველ ჯგუფში ისწავლის 58 კაცი. სულ იქნება სამი ჯგუფი. თვითეული ჯგუფისათვის კურსი განზრახულია თითო თვით.

— **შინა მრეწველობის** დარგში სახელმძღვანელოთ, შინა მრეწველობის განყოფილებამ უკრაინიდან გამოიწვია ერთი სპეციალისტი ინსტრუქტორი.

— **დათვალიერება.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში დაათვალიეროს ლეჩხუმის და რაჭის სამკურნალო დაწესებულებანი.

— **უმუშევართა კოლექტივები** საქ. შრ. კომისარიატმა ქუთაისში გახსნა უმუშევართა 9 კოლექტივი, სადაც მუშაობს 114 უმუშევარი.

— **გლეხის ბიუჯეტის** გამოკვლევა ტფილისის აღმასკომმა დაამთავრა ყარაიას რაიონში.

— **მეთამბაქოეთა კოოპერატ.** ამხანაგობების საშუალებით, გასულ წელს მოყვანილ იქნა 64 ათასი ფუთი ფოთლიანი თამბაქო.

— **თამბაქოს მეურნეობა.** წარმოკავშირმა მიმდინარე წელში თამბაქოს მოსაყვანათ არსებული სივრცე გააფართოვა 1500 დესეტინამდე.

— **შინაგან საქმ. კომისარიატის** განმარტებით იმ შემთხვევაში თუ სისხლის სამართლის მილიციამ ნაქურდალი ნივთები იპოვნა თვით დაზარალებულის მითითებით, მაშინ ნივთების აღმომჩენს არ ერგება ნაპოვნიდან ჩვეულებრივი წილი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ავტომატიური გაზოლიური გუთანი.**

ამერიკაში ინჟენერ დავიდსონმა გამოიგონა ავტომატიური (თავისთავად მომქმედი) გაზოლიური გუთანი, რომელიც მოქმედებს ადამიანის დაუხმარებლად.



**ავტომატი—გაზოლინი—გუთანი.**

წინასწარ, სანამ ავამოქმედებთ ამ გუთანს, საჭიროა ერთი . . . . . . ხელის გუთანის სახე, რომ აღვნიშნოთ მიმართულება; სხვა დანარჩენს გუთანი შეასრულებს თვითონ. ამ გუთანს ის უპირატესობა აქვს, რომ ის სიზუსტით უვლის კუთხეებს და ამის გარდა, მისი საშვალებით მიწის მოხვნა ძლიერ იაფი ჯდება, ვიდრე სხვა დანარჩენი საშვალებებით.

**ელსმენის აპარატის გაუმჯობესება.**

გაუმჯობესებული აპარატის მუშაობა ნაჩვენები იქნა ვესმინსტერის ინგლისის გამოფენაზე. ის შესდგება, როგორც ჩვეულებრივი აპარატები ორი სასმენი და გადასაცემი მილებისაგან. გადასაცემი მილი რჩება უნძრევლად, ხოლო სასმენი მილის კნოპკაზე ხელის ერთი დაჭერით შეგიძლიათ მისცეთ ნებისებური მდგომარეობა, რომ მოლაპარაკესათვის უფრო გაადვილდეს მისი მოხმარება. ამნაირად შესაძლებელი შეიქნა სხვა მუშაობის შეუჩერებლად მოისმინო საუბარი, გამომძახებლისაგან.

**პაირით მოწამლულისაგან განკურნვის ახალი საშვალება.**

რამდენადაც უფრო ვითარდება შხამიანი—ახალ ახალი თვისების მახრჩობელა გაზების აღმოჩენა—გამოგონება, იმდენათ უფრო დიდი ნაყოფით გვირგვინდება მათ წინააღმდეგ ბრძოლის, თავდაცვის საშვალებათა გამოძებნისათვის წარმოებული მუშაობა.

წარსულ იმპერიალისტური ომის დროს გაზებით მოწამლულთა აქიმობა ვერ იყო დაყენებული კარგ ნიადაგზე.

წინად შხამიანი გაზებით მოწამლულების წინააღმდეგ უმთავრესად გავრცელებული იყო ერთი საშვალება—სისხლის გადასხმა. ეს საშვალება საუკეთესოა მეცნიერების აზრით თუ მას დაემატება აგრეთვე მარილიანი წყალი. ამისათვის საჭიროა ერთ ლიტრ წყალში გახსნილი იქნეს იმაზე მეტი მარილი, რამდენიც იმყოფება ამავე რაოდენობის ნორმალურ სისხლში. ასეთი ხსნარის შეშხაპუნებით სისხლის მღებავი ნივთიერება არ კარგავს თავის ჟანგბადს (პაერის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს სუნთქვას) და ინარჩუნებს ნორმალურად მისი (ჟანგბადის) მიღების თვისებას.

გაზებით მოწამლულთა სიკვდილი მით აიხსნება, რომ სისხლს აღარ შეუძლია ფილტვებიდან მიიღოს ჟანგბადი, რის გამოც ორგანიზმი და მთელი მისი უჯრედები იგუდება.

ცდებით დაამტკიცეს, რომ გაზებით მოწამლულების აქიმობის დროს ზევით მოყვანილ წესით, მარილ გახსნილი წყლის ერთხელ შეშხაპუნება არაა საკმარისი. საჭიროა ასეთი შეშხაპუნება რამოდენიმეჯერ განმეორდეს. მხოლოდ ასეთი პირობით შეიძლება სიკვდილისაგან მათი დახსნა.

## ჩემი განმარტება.

(ქართ. სამხ. უფრ. მეთაურთა გაერთიანებ. სკოლა.)

გაზეთ „წითელი არმიელი“-ს №116-ში, მოთავსებულია სამხედრო ჩუმათელეთის წერილი: „კავშირი განა ასეთი უნდა“-ს? სათაურით.

ხსენებული ავტორი აღნიშნავს თითქოს მე სკოლის ექიმს უარი მეთქვას ამბულატორიაში მოსულ გლეხისათვის რომ მისი ავადმყოფი შვილისათვის გამეწია საექიმო დახმარება.

სამხედრო ჩუმათელეთის მიერ მოყვანილი ცნობა არ არის მართალი.

ნამდვილათ საქმე ასე იყო. **სკოლის ამბულატორიაში** (სამხედრო ბანაკში) მოდის გლეხი და მოსდევს მას მისი 9—10 წლის შვილი და მთხოვს მე, ექიმს, **ჩემი სამსახურის შესრულების** დროს, რომ მისი შვილი გავსინჯო.

**ავადმყოფის მდგომარეობა არ იყო ისეთი, რომ საჭირო ყოფილიყო საჩქარო საექიმო დახმარება.**

მე უთხარი გლეხს, რომ აქ, სკოლის ამბულატორიაში, კერძო პირების გასინჯვის უფლება არ მაქვს. **მივეცი წინადადება, რომ, ჩემ მიერ სამსახურის გათავების შემდეგ,** მოსულიყო ჩემ კერძო ბინაზე. მისამართიც ვაცნობე.

ამ ჩემ ჩვენებას დაამოწმებენ იქ მყოფი კურსანტები და ჩემი თანაშემწენი.

ამ გვარივე შემთხვევები რამდენიმე შემხვდა მას შემდეგ.

სამხედრომა, როგორც სამხედრო პირმა, უნდა იცოდეს, რომ საბანაკო წესდების თანახმათ, კერძო პირებს, ნებადაურთველად, ბანაკის ფარგლებში შემოსვლის უფლებაც კი არა აქვთ. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მათ იქ ამბულატორიაში მიღება დაუწყოთ.

სკოლის გარეშე კი, მე, როგორც საშეფო სოფლის, ისე ყველა ახლობელ სოფლის გლეხობისათვის, გამიწევია და უწევ სრულიად უფასო დახმარებას. უარი არავისთვის მითქვამს და არც ვაპირებ.

რათ დასჭირდა ამხ. ჩუმათელეთს ასეთი სიცრუის დაწერა და ფაქტის დამახინჯება? სხვა რომ არა იყოს რა კეთილშობილება უნდა შერჩეს კაცს.

სკოლის ექიმი **ლ. ლაბაძე.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

# ჯანმრთელობის კუთხე.

**წითელ არმიელთათვის ცნობები ჯანმრთელობის შესახებ.**

(გაგრძელება)

ამ გვარად ჩვენ გავიგეთ თუ რა ყოფილა მიზეზი გადამდები სნეულების. ეს ყოფილა ძალიან პატარა ცხოველი, რომელიც სხვა და სხვა საშუალებით, რომელზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი, შედის ადამიანის სხეულში, იბუდებს იქ, მრავლდება და იწვევს ადამიანის ავადმყოფობას. საკითხავია რით? აი რით. ბაქტერია შეუთვისებელ ნაწილს საზრდოსას სტოვებს, განავალის სახით, იქვე სადაც ცხოვრობს ეს განავალი კი შხამია ადამიანისთვის.

ზევით ჩვენ ვსთქვით თუ რა საშინელი სისწრაფით მრავლდება ბაქტერია, როგორ სავსეა მით მთელი ჩვენი გარემო შემორტყმული ბუნება, რა გასაკვირველია რომ ძალიან ადვილი იყოს გადამდები სნეულების გავრცელება. უფრო გასაკვირველი უნდა იყოს რომ კაცობრიობა არ გაწყდა მისგან აქამდისინ. თუ ეს არ ხდება ამის მიზეზი არის ის, რომ ყოველთვის ბუნება ხელს არ უწყობს მათ მათთვის საჭირო პირობების შექმნაში. მათშიაც, როგორც ადამიანთა შორის არსებობს ბრძოლა არსებობისთვის, ერთი მეორეს ნთქავს, ართმევს საჭმელს და ამ ბრძოლიდან გამოდის გამარჯვებული ის ვინც უფრო მოხერხებულია და ღონიერი. მეტი წილი მათი იღუპება და საჭმელი მასალა ხდება სხვა უფრო მათზედ დიდი ცხოველის, ან იღუპება სიცხისაგან, დიდი სიცივისაგან, სიმშილისგან და სხვა მიზეზებისგან.

ჩვენი სხეული, როცა ბაქტერია შევა მასში ებრძვის მას; ბევრი ბაქტერია იღუპება ამ ბრძოლაში, და თუ მაინც გაუძლო ბაქტერიამ ამ ბრძოლას და არ დაიღუპა, მაშინ იგი მრავლდება და იწვევს ადამიანის ავად გახდომას.

ადამიანის მთავარი იარაღი ამ ბრძოლაში არის სისხლი. სისხლში არის პატარა თვალით დაუნახავი თეთრი სისხლის ბურთულები, რომელთა დანიშნულებაც სწორედ ეს ბრძოლაა, და რომელნიც იგრძნობენ თუ არა ბაქტერიის დაბინავებას სხეულში, მაშინვე, როგორც კარგა დაგეშილი მეძებრები დაეცემიან თავზედ, აუტეხენ ბრძოლას, ხოცავენ მათ. ბევრი მათგანი ამ ბრძოლაში იღუპება. გარდა თეთრი ბურთულებისა სისხლში არის გახსნილი ერთგვარი ნივთიერება, რომელიც უერთდება ბაქტერიის მიერ გამოყოფილ შხამს ართმევს მას მომწამლელ თვისებებს და შემდეგ შარდის ან ოფლის სახით სტოვებს სხეულს.

ამ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში იმარჯვებს ის ვინც უფრო ღონიერია. თუ ჩვენი სხეული დაძაბუნებულია ავადმყოფობით,, ცუდი კვებით მძიმე მუშაობით, ღვინის, არაყის უზომო სმით და სხვა, მაშინ ბაქტერია ადვილად ერევა მას, ადამიანი ავად ხდება. თუ ჯანსაღია—ბაქტერია იღუპება.

ეხლა საჭიროა გავიგოთ და შევისწავლოდ ის გზები, საიდანაც ბაქტერია შედის სხეულში. როცა ეს გვეცოდინება ჩვენთვის უკვე ადვილი იქნება იმისთანა ზომების მიღება, რომლებიც შეუძლებლათ გახდიან ბაქტერიის მიერ ადამიანის სხეულში დამკვიდრებას და მით ავადმყოფობის გამოწვევას. დავყვეთ თანდათანობით, განვიხილოდ ყველა ის ნიადაგი სადაც ბაქტერიები ცხოვრობენ და გზადაგზა გამოვარკვიოთ ის საშუალებანი, რომელნიც უნდა ვიხმაროთ რომ თავი დავიფაროთ ამ მოზღვავებულ და დაუნდობელ მტრისგან.

1) კანი ჰფარავს ადამიანის სხეულს ყოველი მხრიდან. იგი თუ მრთელია, გაუვალი სიმაგრეა ბაქტერიისთვის. ამ სიმაგრეს რომ შეუვიდეს ბაქტერია საჭიროა რომ იგი მუდამ იყოს კანზე მრავლად, და გარდა ამისა საჭიროა, რომ კანის სიმრთელე დარღვეული იყოს. საკმარისია სულ პატარა გაკაწრული ადგილი, რომ ბაქტერიამ, ამ თვალით უჩინარმა ცხოველმა, გზა გაიკვლიოს სხეულში. აქედან უკვე თავის თავად გამომდინარეობენ ის ზომები რომლებიც უნდა ვიხმაროდ, რომ თავი დავიფაროდ მათგან. უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ თუ სულ არა, რაც შეიძლება ნაკლები ბაქტერია იყოს კანზედ. ეს კი შესაძლებელია მაშინ თუ ჩვენ ვეცდებით დავიცვათ კანის სისუფთავე. მაშასადამე რაც ჩქარ-ჩქარა დავიბანთ ტანს, რაც ხშირად გამოვიცვლით საცვლებს, მით უკეთესი იქნება, მით უფრო ნაკლები ბაქტერია დარჩება ჩვენს სხეულზედ. თუ ჩვენ ყოველივე ჭრილობას, ან გაკაწრულს ადგილს მოუვლით და სუფთად შევინახავთ, მაშინ ბაქტერიას აღარ ექნება გზა სხეულში შესვლისთვის. ასე რომ კანის სისუფთავე ეს ერთ ერთი საშუალებათაგანია, რომელიც დაგვიფარავს ამ საშინელი მტრისგან.

ექ. გარსიაშვილი.

# განცხადებანი

## ვის აქვს საწინააღმდეგო.

1-ლი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) თავართქილაძე თედორეს და 2) მიტელ-მაიერი ანდროს.

ამავე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) ჯოხაძე ივანეს მცხოვრები ქუთაისის მაზრის სოფელ ნასახულევის, 2) კეჭაძე ანტონს მცხოვრები ქ. ტფილისში სოფ. მამუკას. 3) ჩიჩუა კალისტრატეს მცოვრები ოზურგეთის მაზრის სოფ. სამებაში. 4. თოხაძე ივანეს მცხოვრები ოზურგეთის მაზრის სოფ. ვანის.

ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს დასახელებელი ამხანაგების პარტიაში და პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობონ 10 დღის განმავლობაში შემდეგი მისამართით:

**1 ლი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში.**

1 ლ. ქართ. მსრ. ლეგიონის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიაში კანდიდატებად შემოსვლის შესახებ ჩვენი სკოლის შემდეგ წ. მოლაშქრეებს: 1. სიდამონიძე იასონ (ა. ლ. ქ. ქ. წ.), 2. დიდებაშვილი იასონ (უპარტიო), 3. მენაბდე ვასილი (ალ. ქ. ქ. წ.), 4. ჯაფარიძე პავლე (უპარტიო) 5. ბერიზაშვილი იოსები (ახ. ლ. ქ. ქ. წ.) 6. კოკაია გრიგოლი (უპარტიო) 7. ინაშვილი ნიკოლოზი (უპარტიო) 8. გუჯაბიძე დავითი (უპარტიო) 9. ბედოევი ნიკოლოზი (უპარტიო). გთხოვთ თუ ვისმეს გაქვს რაიმე საწინაამღდეგო ხსენებულ პირების შესახებ გვაცნობეთ წერილობით ან სიტყვით 27 ივნისამდე შემდეგი მისამართით:

**ქ. ტბილისი 1 ლი ქართული მსროლელი ლეგიონის სკოლის კომ უჯრედს.**

ცხადდება ქალაქ ტფილისისა და მისი რაიონების მოქალაქეთა **საყურადღებოდ**, რომ 25 ივნისიდან 3 ივლისამდი ჩათვლით, სადგურ ნავთლუღიდან აღმოსავლეთით 5-6 ვერსის მანძილზე, ვაზიანის მიმართულებით, კახეთისა და ბაქოს რკინის-გზის ხაზებს შორის, ავტოჯავშნოსანი დივიზიონი № 1 C. აწარმოებს ტყვია მფრქვევის სროლას ჯავშნოსან მანქანებიდან.

ქ. კომენდანტის თანაშემწე **გველესიანი.**

ადმინ. სამნეო. განყოფილების უფროსი **ნაკაშიძე.**

ნ. ტ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.